

“ძალისას” ჰიმნი.

საქართველოს დიდება
ქართველ ერს დღეგრძელობა
სიყვარული, ერთობა
ყველა კუთხის შვილისა.

მისამღერი:
დღეგრძელ იყოს ქვეყანა,
რუსთაველის მშობელი,
დღეგრძელ იყოს ქვეყანა,
დიდ ილიას მშობელი.

ყველა შვილი ერისთვის,
ერი ყველა შვილისთვის,
სიყვარული მარადი,-
ზეციერი ჭერისთვის.

მისამღერი:
გავუფრთილდეთ ერთმანეთს,
ვთესოდ მხოლოდ სიკეთე,
ყოველ დილით ვიკითხოთ,-
მამულს რა გავუკეთეთ.

მისამღერი:
გავუფრხილდეთ მიწა-წყალს,
ავაყვავოთ ქვეყანა,
ჩვენთა შვილთა გადავცეთ
ღმერთის ეს ოქროყანა.

მისამღერი:

*სიტყვები და მუსიკა
თ. ჯანდიერის. (1985წ.)*

თანამემამულეებს.

ქრისტესმიერ საყვარელო ძმანო და დანო!

მოგესალმებით ქ. მოსკოვიდან, როგორც ერთ-ერთი რუსეთში
გადმოსხვეწილი ქართველი, ღვთის მონა კონსტანტინე.

თითქმის ოთხი ათეული წელია ვცხოვრობ მოსკოვში და უკვე 23 წელია
ვეწევი საზოგადოებრივ საქმიანობას. ვცდილობ, უანგაროდ ვემსახურო რუს
და ქართველ ხალხთა სულიერ ძმობას. ვუძღვები რუსეთ-საქართველოს
მეგობრობის საზოგადოება “ძალისას” და წმიდა გიორგისა და წმიდა ნინოს
სახელობის მართლმადიდებლურ საძმოს. ნებას ვაძლევ ჩემს თავს,
მოგესალმით ამ ორი საზოგადოების სახელით და მინდა ვუსურვო
საქართველოში და მის გარეთ მცხოვრებ ყველა ქართველს ღვთის წყალობა
სიყვარული და პატივისცემა.

ჩვენ, რუსეთში მცხოვრები, მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტილი
ქართველობა ძალიან მტკივნეულად განვიცდით ყოველივეს, რაც ხდება ჩვენს
სამშობლოში ამ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში.

70-წლიანი ოკუპაციის შემდგომ, ჩვენმა ქვეყანამ, ქართველმა ერმა,
ეროვნული მოძრაობის ხემძღვანელობით და აქტიურობით შესძლო
მოკპოვებინა დამოუკიდებლობა და სახელწიფოებრიობა.

9 აპრილის ტრაგიკული დღიდან დღემდე, საქართველომ განვლო
უადრესად რთული და დაპირისპირებით სავსე ისტორიული გზა. ეს დღე,
რომელიც ჩვენი ქვეყნის უახლოეს ისტორიაში შევიდა როგორც, ეროვნული
ერთიანობისა და დამოუკიდებლობის სიმბოლო, კარგი იქნებოდა, ყოფილიყო
აგრეთვე სიყვარულის, შენდობის, სინანულის, სულიერი განწმენის და არა
პოლიტიკური დაპირისპირების და ეროვნული უთანხმოების დღე.

ქართველ ერს, როგორც ღვთისგან გამორჩეულს, ბევრი მოეთხოვება. ის,
რომ ქართველი ნიშნავს მართმადიდებელს, იმის მოქმედია, რომ ჭეშმარიტი
ქართველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, უნდა იყოს ღვთისმოსავი,
შემნდობი, კეთილი, თავისი ქვეყნისა და მოყვასის მოყვარული. საქართველო

არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, სადაც ინახება ქრისტიანული სამყაროს უდიდესი სიწმიდეები – უფლის კვართი და ღვთისმშობლის პერანგი სხვა სიწმიდეებთან ერთად. ეს იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს დაკისრებული აქვს განსაკუთრებული სულიერი მისია მსოფლიოში.

იმედია, რამოდენიმე წელიწადში, ჩვენი ქვეყანა გაერთიანდება ჩრდილო-ატლანტიკურ ბლოკში. უახლოეს პერიოდში, ჩვენი აზრით, ქართველი ერისათვის და ჩვენი ქვეყნისათვის უმთავრესი მიზანია მონარქიის აღდგენა და მსოფლიო ცივილიზაციაში ინტეგრაცია. დროთა განმავლობაში საკვებით შესაძლებელია საქართველოს მაგალითს მიბაძონ უკრაინამ, რუსეთმა და სხვა მართმადიდებლურმა ქვეყნებმა.

რაც ამჟამად ხდება საქართველოში, აჩვენებს, რომ ქართველი ერის გარკვეულმა ნაწილმა დაკარგა ჭეშმარიტი ქართველისათვის დამახასიათებელი ქრისტიანული და ზნეობრივი თვისებები და ცრუ, ფორმალურ დემოკრატიას ამოფარებული, დიდი “სულისკვეთებით” ჩაება პოლიტიკურ ბრძოლასა და ორომტრიალში, საპატიო ადგილების დასაკავებლად ხელისუფლებაში და მმართველობის ორგანოებში.

ერი და ქვეყანა არ შეიძლება ჩაითვალოს ცივილიზებულად, თუ არ არსებობს კანონისა და ხელისუფლების უზენაესობა. ის, რაც მოხდა ამ ბოლო 18 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში, იმის მაჩვენებელია, რომ დემოკრატია (სინამდვილეში კი კრიპტოკრატია) ქართულად ნიშნავს სრულ განუკითხაობას, ანარქიას, დაუმორჩილებლობას, ქრისტიანული ზნეობრივი კანონების არ ცოდნას და, აქედან გამომდინარე, მათ შეუსრულებლობას. დღევანდელი ქართული ოპოზიცია, მიტინგომანიის სენით არის შეპყრობილი და მზადაა მეორეჯერ ჯვარს აცვას თავისი სამშობლო, როგორც იმ ავადსახსენებელ 92 წელს, როდესაც ქართული ოპოზიციის პირველმა ტალღამ ბოლო მოუღო, მოსრა აღდგენილი ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფო. სამოქალაქო ომმა იმსხვერპლა უამრავი ხალხი და დაანგრია ჩვენი დედაქალაქი. ალა-მაჰმად-ხანის შემდეგ თბილისს არ ახსოვს ასეთი უბედურება.

განიდევნა საქართველოდან, ერის მიერ ერთსულოვნად არჩეული პირველი კანონიერი პრეზიდენტი და შემდგომ მუხანათურად მოკლულ იქნა. ამას მოჰყვა რუსეთიდან კომუნისტური პარტიის “დიდი მოღვაწის”, ბატონ ედუარდ შევარდნაძის ზარ-ზეიმით ჩამოყვანა და ქვეყნის სილატაკამდე მიყვანა.

”ვარდების რევოლუცია”, ანუ ოპოზიციის მეორე ტალღის მოსვლა, არ იყო ია-ვარდებით მოფენილი, მაგრამ იმჟამად ეს, როგორც გვიჩვენა შემდგომმა მოვლენებმა, დროული და გარდაუვალი იყო. ამ მოკლე ხანში, მიუხედავად უამრავი ხარვეზისა, ჩვენი ქვეყანა ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ქართულ სახელმწიფოდ და იგი სცნო მთელმა მსოფლიომ. მიუხედავად 2007 წლის ნოემბრის მოვლენებისა და მომდევნო პროცესებისა, რომლებმაც ერთგვარად შეაფერხა ჩვენი ქვეყნის განვითარება, გარკვევით გამოიკვეთა, რომ ქართული სახელმწიფო შედგა. იმედია, სულ მოკლე ხანში საქართველო დაიკავებს თავის საპატიო ადგილს მსოფლიო ცივილიზებულ ქვეყნებს შორის.

ავგისტოს ომი, რომელიც ფაქტიურად იყო 18-წლიანი ომისა და აგრესიის ლოგიკური დასასრული, ფაქტიურად შევა ჩვენი ქვეყნის უახლეს ისტორიაში, როგორც მნიშვნელოვანი თარიღი – ქართული სახელმწიფოს ტერიტორიული აღდგენისა და გამთლიანების დასაწყისი. ამ ომის აუცილებლობა და შედეგები, ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაანალიზებული. ჩვენი ქვეყნის მიწა-წყლის დროებითი ოკუპაცია, სულაც არ ნიშნავს მათ სამუდამოდ დაკარგვას.

აფხაზეთის ომი და მისი შედეგები იყო სასჯელი იმ ქმედებისათვის, რომელიც განახორციელეს პირველი ოპოზიციის “ბელადებმა”, რამაც გამოიწვია ის საშინელი მარცხი, რომლის მძიმე შედეგებს ჩვენ დღემდე ვიმკით.

მსოფლიოში ყველა ერს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი მანკიერი და დადებითი თვისებები. რაც დიდ გავლენას ახდენს ერისა და ქვეყნის კეთილდღეობასა და მის ისტორიულ ბედზე. არც ჩვენი ქვეყანაა გამონაკლისი.

ამჟამად დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ დღემდე სათანადოდ არ შეფასდა სამოქალაქო ომის გამომწვევი მიზეზები. დღეს, ასეთ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში დაპირისპირება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაღატის ტოლფასია.

ამჟამად, უადრესად დიდი და უმნიშვნელოვანესია ქართული ეკლესიის როლი და დანიშნულება ახალი, ქართული სამართლებლივი, ცივილიზებული და მართლმადიდებლური სახელწიფოს შექმნაში. მრავალი საუკუნის მანძილზე, ქრისტესმოძულე მტრებით გარშემოცემულმა ჩვენმა ქრისტეს მოყვარე და ჯვარცმულმა ქართველმა ერმა, უთანასწორო ბროლებში საკუთარი სისხლის ფასად შეინარჩუნა ენა, მამული და სარწმუნოება. ამაში უდიდესი როლი მიუძღვის ქართულ სამოციქულო ეკლესიას, რომელიც საუკუნეების მანძილზე იყო ქართველი ერის სულიერი წინამძღოლი და მოჭირნახულე. ქართული სამეფო ტახტის და ეკლესიის ერთიანობა იყო საწინდარი და დედაბოძი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისა, სულიერი და ფიზიკური გადარჩენისა.

ქართულმა ეკლესიამ ბოლშევიკური და კომუნისტური დიქტატურის პირობებშიც განიცადა საშინელი ტერორი და შევიწროება. ამ ბოლო რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში, ღვთის მადლით და წყალობით, მისი უწმიდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვითა და სულიერი წინამძღოლობით, ჩვენი დედა ეკლესია გაძლიერდა და აღორძინდა. აღსდგა დანგრეული ეკლესია-მონასტრები, გაიხსნა სულიერი კერები საქართველოს ყველა კუთხეში და უცხოეთის მრავალ ქვეყანაში, სადაც კი ცხოვრობს ქართული დიასპორა. დღეს, როდესაც ჩვენი სამშობლო იმყოფება დიდი გამოცდის წინაშე, ქართულ ეკლესიას ეკისრება უდიდესი მოვალეობა ერისა და ქვეყნის წინაშე. პირველ რიგში – შინაური დაპირისპირებების სრულიად აღმოფხვრაში და, რაც ერთ-ერთი უმთავრესია ჩვენი ქვეყნისათვის, ზრუნვა მომავალ თაობაზე.

ამ ფრიად უმნიშვნელოვანეს საკითხში, როცა საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის მომავალს, ერის მომავალი თაობის აღზრდას, უდიდესი როლი ენიჭება ხელისუფლებისა და ეკლესიის ერთობლივ ძალისხმევას. სავალდებულო და უცილებელია, რომ საჯარო სკოლებში ისწავლებოდეს, როგორც ერთ-ერთი უმთავრესი საგანი, საღვთო სჯული და სასულიერო დისციპლინები. გადაუდებელია აგრეთვე, მართმადიდებლური გიმნაზიების და ამ ტიპის სასწავლებლების გახსნა მთელ რიგ ქალაქებსა და ყველა რაიონულ ცენტრებში. რა თქა უნდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე.

”რა სარგებლობა აქვს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს თავისი სული კი დაკარგოს, ან რას გაიდებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ”
(მათე17-20)

ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტი ქართველების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში და უცხოეთში საკმაოდ მცირეა. სალოცავში სიარული, ჯვრისწერა ეკლესიაში, ბავშვების და მოზრდილების მონათლვა და სხვა საიდუმლოებების შესრულება სრულიად არ ნიშნავს, რომ ჩვენ მთლიანობაში ვართ მორწუნე ერი და შეგვიძლია ვიქონიოთ რაიმე იმედი, რომ

დავიმკვიდრებთ ჩვენს ადგილს ზეციურ სასუფეველში. მინდა ვიხმარო ტერმინი - “ეთნიკური ქართველი” რომელიც ფაქტიურად ნიშნავს ურწმუნოს. ჩვენდა საუბედუროდ, ასეთი ქართველების რაოდენობა საკმაოდ დიდია. ეს არის მილიონობით უცხოეთში მცხოვრები ქართველი რომელთა სულებზე ზრუნვა ჩვენი ეკლესიისა და ყველა ჩვენთაგანის ვალია. კერძოდ, მოსკოვში, სადაც ცხოვრობს ქართველების ყველაზე დიდი რაოდენობა რუსეთში, მორწმუნე ქართველების რაოდენობა არ აღემატება რამოდენიმე ასეულ კაცს, მათი უმეტესობა უმთავრესად დევნილია. ჩვენი საზოგადოების თაოსნობით 1992 წელს ამოქმედდა პირველი ქართული სალოცავი - წმ. გიორგის ეკლესია. ახლა მოვიდა დრო, რომ განვაახლოთ წირვა-ლოცვა სხვა ქართულ სალოცავებშიც, რომელთაც უშუალო კავშირი აქვთ ჩვენს დიდებულ წინაპრებთან. ისინი რამოდენიმე საუკუნის წინათ, იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ თავიანთი სამშობლო და გადმოხვეწილიყვნენ რუსეთში.

უახლოეს პერიოდში ჩვენ ყველა ზომებს ვიხმაროთ, რომ აღვადგინოთ წირვა-ლოცვა ქართულად “ყოვლადწმიდა” ეკლესიაში, რომელიც აშენებულია 18 საუკუნეში, იმერეთის მეფის არჩილ მეორის ასულის, დარეჯან დედოფლის მიერ, რომელშიც უკვე 200 წელია არ აღევლინება წირვა ქათულ ენაზე. ამ წმინდა სალოცავში განისვენებენ ჩვენი დიდებული წინაპრები, მათ შორის, სულხან-საბა ორბელიანი. ასევე უკიდურესად საჭირო და აუცილებელია, რომ აღდგეს ქართული წირვა “დონის მონასტრის მირქმის“ ეკლესიაში, რომლის ნეკროპოლში განისვენებენ ქართველი ერის დიდებული და ღირსეული შვილები – იმერეთის მეფე არჩილ მეორე და მისი შთამომავლები – დარეჯან დედოფალი, მეფისწული ალექსანდრე, მეფე ვახტანგ მეექვსის შთამომავლები, ქართული ეკლესიის უმაღლესი სამღვდელოება და მრავალი ცნობილი დიდებული ქართველი მოღვაწე. იმედს არ ვკარგავთ და შევეცდებით, რომ უახლოეს ხანში ჩვენი საზოგადოებების თაოსნობით ამოქმედდეს წმიდა ნინოს სახელობის რუსულ-ქართული მართმადიდებლური გიმნაზია.

მინდა გამოვხატო სინანული იმის გამო, რომ მოსკოვის ქართულ დიასპორას არ გააჩნია საკუთარი კულტურული ცენტრი. გააკიცხვის ღირსია მოსკოვში მოღვაწე, ბევრი ცნობილი ჩვენი თანამემამულე, რომელიც არავითარ ინტერესს, თანადგომას და ყურადღებას არ იჩენს ჩვენი საზოგადოებების საქმიანობის მიმართ. მთელი რიგი ჩვენი პროექტები, რომელთაც შეუძლიათ გარკვეული გავლენა მოახდინონ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე განუხორციელებელი რჩება. ასე რომ სახალხო დიპლომატიის რესურსი, ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება საზოგადოებრივი საქმიანობის, რომელსაც შეუძლია დიდი როლი ითამაშოს ამ მეტად მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში, ფაქტიურად გამოუყენებელია ჩვენი უგულობისა და დაუდევრობის გამო.

“წინასწარმეტყველი არსად არ არის უპატივოდ, გარდა თავისი სამშობლოსი და საკუთარ სახლისა”

(მათე 13-57)

ეს სიტყვები გარკვეულწილად ეხება თითქმის ყველა პროგრესულად მოაზროვნე პატრიოტ და შემოქმედ ადამიანს. ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში ასეთი წინასწარმეტყველი და ღირსეული შვილი ჩვენს ქვეყანას უამრავი ჰყავდა წარსულშიც და ახლაც. ამ შემთხვევაში კი მხედველობაში მყავს ჩვენი ქვეყნის რიგით მესამე, (და დიდი იმედი გვაქვს საბოლოო ქართველი პრეზიდენტი), რომელიც ერთსულოვნად ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს მოქალაქეების მიერ. ამ მოკლე პერიოდში ქართულმა სახელმწიფომ, რეალურად, მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა და ბრძოლისა შინაურ თუ გარეულ მტერთან, მიაღწია მსოფლიო აღიარებას, თანადგომას, მხარდაჭერას და ამის არ დანახვა ყოვლად შეუძლებელია. ნათქვამია, - “ყოველი ხელისუფალი უფლისაგანაა.” სრული გულწრფელობით ვამბობ,

რეალურად, დღევანდელ დღეს, ვერ წარმომიდგენია სხვა ხელისუფალი. ყველა აუცილებელი დადებითი თვისებები, რაც უნდა გააჩნდეს სახელმწიფო მეთაურს მას უხვად გააჩნია, (რა თქმა უნდა უარყოფითიც, როგორც ყველა ჩვენთაგანს). ჩვენ ვაღდებულნი ვართ სათანადო პატივი მივაგოთ მას, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს და მისი დამცირება და დისკრედიტირება არის სამარცხვინო და ყოველად მიუღებელი. ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა მხარში ამოვუდგეთ მას ჩვენი ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოთ. ყოველ შემთხვევაში ხელს ნუ შეეუშლით, გავამხნევოთ. მისი საკმაოდ დიდი გამოცდილება, ერუდიცია, განათლება და ავტორიტეტი დღეს უკიდურესად ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. ამ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, მხოლოდ მას ყველა ჩვენთაგანის მონაწილეობით და დახმარებით შეუძლია მიიყვანოს ჩვენი ქვეყანა სანუკვარ მიზნამდე. უცილებელი არაა წინასწარმეტყველი იყო, რომ მიხვდეთ, თუ რა კვალს დატოვებს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, საქართველოს დღევანდელი და კანონიერი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოკლე პერიოდისა, აშკარად გამოიკვეთა, რომ ისეთ მრავალსაუკუნოვან სახელმწიფო მოწყობილობისა და ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორც საქართველოა, ყოველად მიუღებელია საპრეზიდენტო მმართველობა. ერთადერთი სწორი მმართველობის ფორმაა კონსტიტუციური მონარქია. მომავალ არჩევნებამდე ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისათვის, რომ შემზადდეს პირობები მონარქიული წყობის აღსადგენად.

მოვუწოდებთ ხელისუფლებას, მთავრობას, პარლამენტს, ყველა პოლიტიკურ პარტიას და, პირველ რიგში, მთელ ქართველ ხალხს, სადაც არ უნდა ვცხოვრობდეთ, ვიქონიოთ სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. ნუ ვიქნებით კაცთმოძულე კაციჭამიები და ნუ აყვებით ემოციებს, შეგწყვიტოთ ყოველგვარი დაპირისპირება ერთმანეთთან. ყველამ ერთად, ერთი ძალისხმევით ავირჩიოთ ერთადერთი და ჭეშმარიტი სამომავლო გზა, პირველ რიგში ჩვენი სულიერი გადარჩენისათვის.

და ბოლოს, ალბათ ბევრმა თქვენთაგანმა არ იცის, რომ იმ ადგილზე სადაც 9-აპრილს დაიდვარა სისხლი, და რომელიც ამ ბოლო დროს გახდა არენა ყოველგვარი დაპირისპირებისა და უთანხმოებისა, ბოლშევიკებმა დაანგრიეს წმიდა გიორგის სახელობის სამგუმბათიანი ეკლესია, რომლის აღდგენა და ამოქმედება ჩვენი აზრით, აუცილებელი და გადაუდებელია.

ფარავდეს საქართველოს მამა ზეციერი და ღვთისმშობელი ქალწული!

ქრისტესმიერი სიყვარულით, საზოგადოება ძალისას და სამშოს

სახელით თ. ი. ჯანდიერი.

ქ. მოსკოვი. 05.05.2009 წელი.